

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის  
საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და  
რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის  
სააუქციონო კომისიის

2011 წლის 17 აგვისტოს №2 გადაწყვეტილებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -  
ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი აცხადებს ხელახალ  
საჯარო აუქციონს საწყისი ღირებულების 50%-იანი ფასდაკლებით

საჯარო აუქციონზე გასაყიდად გამოტანილია ბალანსზე რიცხული ავტომანქანები 5 ლოტად

**ლოტი 1 - ავტომანქანა UAZ3151**

საწყისი გასაყიდი ფასი	2 275 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია /“ზე“	682,50 ლარი
ბიჯი	100 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი	10 ლარი
მისამართი	ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი №41
ძირითადი ქონების ჩამონათვალი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული UAZ3151 მარკის მსუბუქი ავტომანქანა, საიდენტიფიკაციო № 0049759 გამოშვების წელი 1998
საპრივატიზაციოდ გამოცხადების თარიღი	17 აგვისტო 2011 წელი

**ლოტი 2 - ავტომანქანა „ფორდ ტრანზიტ“ 100**

საწყისი გასაყიდი ფასი	2 860 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია /“ზე“	858 ლარი
ბიჯი	100 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი	10 ლარი
მისამართი	ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი №41
ძირითადი ქონების ჩამონათვალი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ფორდ ტრანზიტ 100 21213 მიკროავტობუსი, საიდენტიფიკაციო № WFOLXXGBVLR81917 გამოშვების წელი 1994
საპრივატიზაციოდ გამოცხადების თარიღი	17 აგვისტო 2011 წელი

**ლოტი 3 - ავტომანქანა LADA VAZ 2107**

საწყისი გასაყიდი ფასი	1 100 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია /“ბე“	330 ლარი
ბიჯი	20 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი	100 ლარი
მისამართი	ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი №41
ძირითადი ქონების ჩამონათვალი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული LADA VAZ 2107 მსუბუქი ავტომობილი, გამოშვების წელი 2001, სახ № BBS 175
საპრივატიზაციოდ გამოცხადების თარიღი	17 აგვისტო 2011 წელი

**ლოტი 4 - ავტომანქანა LADA VAZ 2107**

საწყისი გასაყიდი ფასი	1 100 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია /“ბე“	330 ლარი
ბიჯი	50 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი	10 ლარი
მისამართი	ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი №41
ძირითადი ქონების ჩამონათვალი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული LADA VAZ2107 მსუბუქი ავტომობილი, გამოშვების წელი 2001, სახ№ KIM 053
საპრივატიზაციოდ გამოცხადების თარიღი	17 აგვისტო 2011 წელი

**ლოტი 5 - ავტომანქანა VAZ 21213 (ჯართი 0,25 ტ.)**

საწყისი გასაყიდი ფასი	37,50 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია /“ბე“	11,25 ლარი
ბიჯი	5 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი	10 ლარი
მისამართი	ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი №41
ძირითადი ქონების ჩამონათვალი	ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული LADA VAZ 2107 მსუბუქი ავტომობილი, გამოშვების წელი 2001
საპრივატიზაციოდ გამოცხადების თარიღი	17 აგვისტო 2011 წელი

ხელახალ აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2011 წლის 18 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით, 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, ქ. ბათუმი, მაბაშიძის გამზირი 41, მესამე სართული, ოთახი №30, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი. საჯარო აუქციონის ფორმით მოძრავი ნივთის შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია.

#### **ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

ხელახალი აუქციონი გაიმართება 2011 წლის 26 აგვისტოს 18 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი №41.

#### **საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

- ა) შესაბამისი ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- ბ) ბეს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (ბეს გადახდას უთანაბრდება ასევე მონაწილის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რაც საჯარო აუქციონის განმახორციელებელ სუბიექტს გადაერიცხება მონაწილის საჯარო აუქციონში გამარჯვებისთანავე ან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესისა და პირობების დარღვევისას), ან საბანკო გარანტიის წარმოდგენის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- გ) აუქციონში მონაწილეობის, მონაწილის ბილეთის ფასის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ე) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში) ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

#### **აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“ და ბილეთის შესაძენი ფასი მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“. ბანკის კოდი 22, მიმღების დასახელება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური, მიმღების ანგარიშის GE39BG000000343170200 ს/6 245428700).

საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი საჯარო აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იხდის სრულ თანხას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელმოწერის უარისმთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

#### **გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

საკუთრების უფლება მიენიჭება საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით ერთი მონაწილის არსებობის შემთხვევაში).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი №41, მესამე სართული, ოთახი №30, ტელ. 27-43-82, 577- 54-10-00.